

**საზოგადოებრივი  
მაუწყებლის  
ანგარიში**



**2013**



**საზოგადოებრივი  
მაუწყებლის  
ანგარიში  
2013**

**„საქართველოს საზოგადოებრივი  
მაუწყებელი არის საჯარო, არაკომერციული,  
ელექტრონული მედიასაშუალება და მისი  
ამოცანაა, შექმნას და ეთერში გაუშვას  
მაღალი ხარისხის და მრავალფეროვანი  
შინაარსის რადიო, სატელევიზიო და  
მულტიმედიური პროდუქტი.  
გადაცემაში შეუზღუდავად ხელმისაწვდომი  
უნდა იყოს საქართველოს ყველა  
მოქალაქისთვის, მათი შინაარსი უნდა  
ითვალისწინებდეს საზოგადოების  
საჭიროებებს და მათი მიღება შესაძლებელი  
უნდა იყოს ყველა ხელმისაწვდომი ტექნიკური  
საშუალებებით.“**

— საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების სტრატეგია,  
2011—2015 (დანართი N2)

**“ახალი ამბების გამომშვებებში ძირითადი  
კანდიდატების საქმიანობის თანახმად  
გაშუქება მხოლოდ საზოგადოებრივი  
მაუწყებლის პირველ არხზე მოხდა.“**

— ეუთო, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები,  
სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში (დანართი N6)

---

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკა ხორციელდებოდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის და ევროპის მაუწყებელთა კავშირის ექსპერტების მიერ ერთობლივად მომზადებული სამოქმედო სტრატეგიის (დანართიN2) ფარგლებში.

ამ სტრატეგიისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2013 წელს სამაუწყებლო პოლიტიკის განმსაზღვრელ ხაზს კვლავაც წარმოადგენდა: ერთი მხრივ - ბალანსის, მიუკერძოებლობის, ადამიანის უფლებების, ეთიკური სტანდარტების დაცვა და მეორე მხრივ - საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ბალანსის დაცვა მაუწყებლობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, უამცნევით-საგანმანათლებლო და გასართობ კომპონენტებს შორის.

ამავე პოლიტიკის ნაწილია სამაუწყებლო არხების კონტენტისა და ფორმატების გადაწინააღმდეგობა, რაც გულისხმობს პირველი სატელევიზიო არხის საერთო მაუწყებლობის ფორმატში, მეორე სატელევიზიო არხის სპეციალიზებული საპარლამენტო არხის ფორმატში, პირველი რადიოარხის საერთო-სამაუწყებლო „მოლაპარაკე“ ფორმატში და მეორე რადიოარხის გასართობ-მუსიკალურ ფორმატში მაუწყებლობას.

---

## შინაარსი

	სამაუწყებლო პოლიტიკა და საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების სტრატეგია, 2011-2015	06-07
1	საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები (დანართი N3)	08-09
2	საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება	10-11
3	შემეცნებით-საგანმანათლებლო და სკროტულ-გასართობი პროგრამები	12-13
4	მმართველობის ცვლილება და გამონკვევები	14-15
5	საკანონმდებლო ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პრობლემები	16-17
6	ბიუჯეტის შესრულება	18-19
7	მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი	20-21
8		



# 1

## სამაუწყებლო პოლიტიკა და საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების სტრატეგია



**საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების სტრატეგია, 2011-2015 (დანართი N2) მაუწყებლის ძირითადი საორიენტაციო დოკუმენტია. სტრატეგიის მიერ ძირითად პრიორიტეტებად განსაზღვრულია:**

- კრეატიული და ინოვაციური იდეების წახალისება და პროგრამების მოსამზადებელი პროცესის გაუმჯობესება;
- პროგრამების შემუშავების, დამზადების და შემდგომი კონტროლის პროცედურების დახვეწა;
- პროგრამების შინაარსის (კონტენტის) მუდმივი ტესტირება და აუდიო-ვიზუალური მხარის შემოწმება (ლოგო, წარმოების და რედაქტირების ხარისხი, საარქივო მასალების გამოყენება, მუსიკის ხარისხი და შესაბამისობა);
- დამოუკიდებელ პროდიუსერებთან, კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა;
- საჯარო ღონისძიებების და აქციების ხშირი მოწყობა და კარგად გაშუქება საქართველოს ყველა რეგიონიდან;

■ თანამშრომლობის და ერთობლივი წარმოების განვითარება საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით ევროპის მაუწყებელთა კავშირთან (EBU) და ევროპის რეგიონალური მაუწყებლების გაერთიანებასთან (ჩირცომ-რეგიონალ).

2013-2014 წლების საეთერო სეზონისთვის სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტრატეგიაში შევიდა მხოლოდ ერთი ცვლილება, რომელიც წინა წლებთან შედარებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობისათვის საეთერო დროის მატებას ითვალისწინებდა. მიზეზი: საეთერო სეზონის პერიოდში 2013 წლის საქრეზიდეტო და 2014 წლის მუნიციპალური არჩევნების გაშუქება. ეს მიდგომა აისახა პროგრამულ პრიორიტეტებშიც.

სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტში (დანართი N3) მოცემულია სამაუწყებლო პოლიტიკის ძირითადი პარამეტრები, რომლის თანახმადაც:


■ პირველი სატელევიზიო არხი მაუწყებლობს საერთო მაუწყებლობის პრინციპით: წარმოდგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური (ახალი ამბების ჩათვლით),

შემეცნებით-საგანმანათლებლო და გასართობი მიმართულებაში. პროგრამები ვრცელდება მაუწყებლის საკუთარი გადაცემების მეშვეობით და მოიცავს საქართველოს მოსახლეობის 85%-ს. არხი ტრანსლირდება ინტერნეტით. სათიერო დრო არის არანაკლებ 20 საათი დღეღამეში.

■ იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ტელევიზორცეში არ არსებობს სპეციალიზებული შემეცნებითი ან კულტურაზე ორიენტირებული არხები, ხოლო კერძო სამაუწყებლო არხები, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, თითქმის არ ათავსებენ ამ მიმართულების პროგრამულ პროდუქტებს საკუთარ ეთერში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებისათვის განკუთვნილი საეთერო დრო გაზარდოს არანაკლებ 35%-მდე.

■ პირველი რადიო არხი მაუწყებლობს საერთო მაუწყებლობის პრინციპით: წარმოდგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური (ახალი ამბების ჩათვლით), საგანმანათლებლო-კულტურის და გართობა-სპორტის მიმართულებები. პროგრამები ვრცელდება მაუწყებლის საკუთარი გადაცემების მეშვეობით და მოიცავს საქართველოს მოსახლეობის 70%-ს. არხი ტრანსლირდება ინტერნეტით. საეთერო დრო - 24 საათი დღე-ღამეში.

**დროის განაწილება 1 სატელევიზიო არხზე**



# 2

## საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები (ღანართი 3)



პროგრამული და საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას სამეურვეო საბჭო ხელმძღვანელობს ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებით და საქართველოს კანონმდებლობით. პრიორიტეტები წარმოდგენილია სამაუწყებლო არხების მიხედვით და მაუწყებელს ავალდებულებს, დაიცვას გაზომვადი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები (პროგრამულ ნაწილში დროითი მასშტაბები, ხოლო საბიუჯეტო ნაწილში და ფინანსების წყაროები და ფინანსირების პარამეტრები).

2013—2014 წლების საეთერო სეზონის პრიორიტეტების განსაზღვრისას სამეურვეო საბჭომ გაითვალისწინა ის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც თანახლავს 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებს და იმ ფაქტს, რომ საქართველოში ახალი საკონსტიტუციო წყობილება მყარდება. შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემების (ახალი ამბები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები, საქართველოს ენებზე მაუწყებლობა) ქრონომეტრაჟსა და ხარისხზე.

წლის დასაწყისში მართლაც გაიზარდა ახალი ამბების გამოშვებისა (დღე-ღამეში სამი ძირითადი გამოშვებიდან 5-მდე) და კვირის განმავლობაში გადაცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების (კვირის განმავლობაში 3-დან 5-მდე)

სიხშირე და ეს მიმართულება კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო ი. გრიგოლიას და ე. მიშველადის საავტორო პროგრამებით. თუმცა, საეთერო სეზონის დასაწყისისათვის მენეჯმენტმა კვლავ შეამცირა ახალი ამბების გამოშვების სიხშირე, ხოლო არსებული საავტორო პროექტებიდან ორი (დ. პაიჭაძის და ე. კვესიტაძის) საერთოდ გააჩერა და შეაჩერა ი. გრიგოლიას საავტორო პროექტის წარმოებაში ჩაშვება. შედეგად, 2013 წლის სექტემბრიდან მენეჯმენტმა პროგრამული პრიორიტეტების ამ ნაწილში ეთერი მხოლოდ 25%-ით დატვირთა, რაზეც სამეურვეო საბჭომ მას არაერთხელ საჯაროდაც მიუთითა.

პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისას საბჭო აქტიურად მუშაობდა მენეჯმენტთან და მასთან ერთად, საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესის შესაბამისად, მზად იყო პრიორიტეტების შესაბამისი პროგრამული ბადის რამდენიმე ვარიანტიც განეხილა. პროცესი გამჭვირვალედ და საჯაროდ მიმდინარეობდა. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო სრული ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ. თუმცა, მენეჯმენტმა საბჭოს ვერ მოაწოდა გადაცემებისა აღწერა-ბიუჯეტირების და ბადის სრულყოფილი სამუშაო ვერსია. გადაცემათა დეტალური განხილვა, მსჯელობა მათ თანადობაზე პრიორიტეტებთან და ბიუჯეტირება, საეთერო სეზონის დასაწყისამდე გაგრძელდა. სამწუხაროდ, ამ პროცესის საბოლოოდ დასრულებას ხელი შეუშალა სამეურვეო საბჭოში კვორუმის არარსებობის პრობლემამ.

# 3

## საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება



საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების (ახალი ამბები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები) საქმიანობის შეფასებისას აღსანიშნავია, რომ 2013 წლის წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგების მიხედვით საერთაშორისო ავტორიტეტულმა, დამოუკიდებელმა ორგანიზაციებმა გაიმეორეს ის მაღალი შეფასებები, რაც ამ მიმართულებამ 2009-2012 წლებში დაიმსახურა. (დანართი N6)

ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ 2009 წლის დასაწყისიდან ამ მიმართულების სისტემურმა რეფორმამ, რომელიც ევროკავშირისა და BBჩ-ის თანადგომით განხორციელდა, მენეჯმენტის ცვლილების პირობებშიც, მდგრადობის უნარი გამოავლინა.

2013 წლისთვის ძირითადი სამუშაო ჩატარდა ახალისტუდიების მოსაწყობად, გარემონტდა და ტექნიკურად აღიჭურვა სტუდია, შეიცვალა საინფორმაციოს გაფორმება, მუსიკა, ანონსები, გაძლიერდა ფილდ პროდიუსინგის რგოლი, 12:00 და 14:00 გამოშვებებში დაემატა უცხოეთის და სპორტის 7 წუთიანი ბლოკები, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი სეგმენტ-ნამყვანები, საინფორმაციოს ეთერში გამოჩნდნენ ახალი სახეები, წარმოებაში ჩაეშვა ახალი საკვირაო სატელევიზიო ფილმი- „ტელებლოგი“, ახალი 2013 წლის სატელევიზიო სეზონიდან (27.09.2013)- „მოამბე“ ეთერში გავიდა ახალი გრაფიკული შეფუთვით, ახალი სტუდიით, ახალი მუსიკალური გაფორმებით. დამზადდა სატელევიზიო ანონსები. მოხდა ნამყვანების იმიჯური ცვლა- საავტორო ფუნქციების მინიჭება, გახშირდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მასალების გამოყენება ქართულ და უცხოურ მედიაში ნყაროს- „მოამბის“ მითითებით, გაიზარდა სოციალურ ქსელებში მასალების გაზიარების რაოდენობა (დანართი N4).

### ქურნალისტური ეთიკის ქარტიის დასკვნა

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (პირველი არხი) საინფორმაციო პროგრამებში ორივე პარტია, როგორც ქართული ოცნება, ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უმეტესად ნეიტრალურად გაშუქდა თითქმის თანაბარი პროპორციით (16 პროცენტი და 17,9 პროცენტი შესაბამისად). ყველაზე უფრო ხშირად წარმოდგენილი პოლიტიკური ერთეული იყო მთავრობა, რომელიც 34,5 პროცენტით გაშუქდა ძირითადად ნეიტრალური ტონით. შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტი 9,3 პროცენტით გაშუქდა და ეს გაშუქებაც ძირითადად ნეიტრალური იყო. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებას, ორივე ლიდერს — გიორგი მარგველაშვილსა და დავით ბაქაძეს — შედარებით თანაბარი პროპორციები დაეთმო (12,7 პროცენტი და 17 პროცენტი შესაბამისად) და საინფორმაციო პროგრამის პრაიმ-თაიმში ორივე კანდიდატი ნეიტრალურად ან კოჟიტიურად გაშუქდა. გაშუქების დროის სიდიდის თვალსაზრისით პრეზიდენტობის შემდეგ კანდიდატებს, გიორგი თარგამაძესა და ნინო ბურჯანაძეს შესაბამისად დროის 14 პროცენტი და 15 პროცენტი დაეთმო (დანართი N4).





# შემეცნებით-საგანმანათლებლო და სპორტულ-გასართობი პროგრამები



სამეურვეო საბჭომ რეკომენდაცია გაუწია მენეჯმენტს, პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია შემეცნებითკომპონენტზე. შემეცნებით პროგრამებში სამეურვეო საბჭო მოუწოდებდა მენეჯმენტს, აქცენტი გაეკეთებინა მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობილი ინფორმაციის;ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამების; ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშემწყობი პროგრამების; ისტორიული პუბლიცისტიკის მიმართულებების წამოწევაზე. სამეურვეო საბჭოს რეკომენდაცია იყო, ბადე მაქსიმალურად დატვირთულიყო საქართველოს კულტურულ საგანძურზე საარქივო მასალების გამოყენებით შექმნილი, უცხოური ტელეკომპანიების მიერ დამზადებული მაღალი ხარისხის შემეცნებითი და საგანმანათლებლო, კინოზე, თეატრზე, მუსიკაზე და ხელოვნების სხვა დარგებზე მომზადებული პროგრამებით (დანართიN3).

მაუწყებლობაში "საპნის ოპერების" ჩანაცვლება მომხდარიყო მხატვრული და შემეცნებითი სატელევიზიო ფილმებით; გამოკვეთილიყო ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ზრდის ტენდენცია.

**რეკომენდაცია:**

სპორტული ასპარეზობების ტრანსლაციის დაგეგმვისას აქცენტი გამახვილდეს მხოლოდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ასპარეზობებზე.

**რეკომენდაცია:**

მასობრივი მუსიკალური, ან ქორეოგრაფიული კონკურსების (მაგალითად „ევროვიზია“) ორგანიზებისას გამოყენებული ქნას და ფინანსების საკუთარი (და არა სახელმწიფო სუბსიდიის) წყაროები (დანართიN3).

მიგვაჩნია, რომ პროგრამული პრიორიტეტების ძირითად მოთხოვნებს პასუხობს გადაცემები: „უცნობი მუსიკა“, „ვაშინგტონი ღღას“, „ჩვენი ეზო“, „ყოჩაღების ქუჩაზე“. კვლავაც სუსტადაა წარმოდგენილი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მიმართულებები. საანგარიშო პერიოდში წარმატებით მუშაობდა დოკუმენტური ფილმების სტუდია, რომლის ავტორთა ჯგუფმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.



საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ მომზადებული ფილმი „მა ვატარა ქართველი ვარ“ (რეჟისორი ლევან ალაშია) ევროპის რეგიონული მაუწყებლების ასოციაციის 2014 წლის დაჯილდოების რჩეულ დოკუმენტურ ნამუშევრად დასახელდა, ამ კატეგორიაში 50-ზე მეტი ფილმი იყო წარდგენილი.

გალა დაჯილდოება ევროპის რეგიონული მაუწყებლების ასოციაციის 2014 წლის კონფერენციის დროს სორვატიის ქალაქ კავთაში, 8 მაისს გაიმართება.

Prix Circom 2014 ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ყოველწლიური დაჯილდოებაა, რომელიც ევროპის წამყვანი მაუწყებლები მონაწილეობენ

# 5

## მმართველობის ცვლილება და გამონაკვეთი



2012 წლის მიწურულს სამეურვეო საბჭომ უზრუნველყო ღია და გამჭვირვალე, მონაწილეობითი კონკურსი დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსი გაგრძელდა ორი კვირის განმავლობაში და სამეურვეო საბჭომ დირექტორად აირჩია ყოფილი მოადგილე და მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ბარათაშვილი (დანართი N10).

სამოქმედო გეგმაში ბარათაშვილმა აქცენტი გააკეთა ბიუჯეტის და საკადრო ოპტიმიზაციის საკითხებზე. მისი სამოქმედო გეგმის შესაბამისად სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა შემოთავაზებული სტრუქტურა და ბიუჯეტი (დანართი N10).

2013 წლის 4 მარტს სამეურვეო საბჭოს განცხადებით მიმართა საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, რომელმაც დირექტორი დაადანაშაულა პოლიტიკური ზეწოლის განხორციელებაში, სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევასა და ფინანსური გარიგების შეთავაზებაში. სამეურვეო საბჭომ დირექტორს უნდობლობა გამოუცხადა და გაათავისუფლა თანამდებობიდან. დირექტორმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება და აღიდგინა უფლებამოსილება, რის შემდეგაც დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის ვერ შედგა კონსტრუქციული თანამშრომლობა (დანართი N10).

მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, სამეურვეო საბჭომ ვერ მიიღო ბიუჯეტის პროექტი, პროგრამული ბიუჯეტები და კონცეფციები, საშტატო განრიგი და სხვ. რაც ახალი საეთერო სეზონის დაგეგმვისთვის იყო აუცილებელი ახალი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად (მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი).

ხსენებული ცვლილებების შესაბამისად, სამეურვეო საბჭომ დროულად შეასრულა მასზე კანონით ახლადდაკისრებული მოთხოვნა და დაამტკიცა თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებების ძირითადი პირობები (დანართი N8). თუმცა, 2013 წლის ივნისის თვიდან დაიწყო შტატების მასიური და დაუსაბუთებელი ზრდა. ამავე პერიოდში დაიხურა რამდენიმე სატელევიზიო პროექტი, რომელშიც მაუწყებელს უკვე ჰქონდა ინვესტიცია განხორციელებული. სეზონის დაწყებამდე რჩებოდა ერთი თვე და სამეურვეო საბჭოს ჯერაც არ ჰქონდა ახალი სეზონის კონცეფცია და ბიუჯეტი, რაც სეზონის ჩავარდნის დიდ რისკს ქმნიდა. ამიტომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, უნდობლობა გამოეცხადებინა გენერალური დირექტორისთვის და 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით გაათავისუფლა იგი დაკავებული თანამდებობიდან. ამის შემდეგ სამეურვეო საბჭომ ჩაატარა შიდა მოკვლევა. მოკვლევის მასალები გაგზავნილია მთავარ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისთვის (დანართი N7).

ამ პროცესის პარალელურად სამეურვეო საბჭოს წევრებზე განხორციელდა პირდაპირი ზეწოლა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რაზეც სამეურვეო საბჭოს წევრებმა არაერთხელ მიუთითეს საჯარო გამოსვლებში. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, შეესწავლა აღნიშნული საკითხი, რაზეც რეაგირება დღემდე არ ჩანს.

ზეწოლის შედეგად ორი წევრი გავიდა სამეურვეო საბჭოს შემადგენლობიდან, რამაც საბჭოს გადაწყვეტილების მიღების უნარი შეუზღუდა კვორუმის არარსებობის გამო.

აღნიშნული სტატუსს ქუთაისის პარლამენტის 20 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით გამყარდა, რომელმაც საბჭოს მოქმედ წევრებს მხოლოდ საკონსულტაციო უფლებამოსილებები დაუტოვა.

პარლამენტის ამ გადაწყვეტილებამ გაამძაფრა მმართველობითი კრიზისი საზოგადოებრივ მაუწყებელში:

- შეუძლებელი გახდა კონტროლის განხორციელება მენეჯმენტის საქმიანობაზე;
- საბჭოს კონტროლის გარეშე განხორციელდა 2013 წლის საბიუჯეტო ცვლილებები;
- ორგანიზაცია დარჩა 2014 წლის ბიუჯეტის გარეშე;
- ვერ განხორციელდა მაუწყებლის საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი, რომელსაც მენეჯმენტის 2013 წლის სამიქნობა უნდა შეეფასებინა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გარე აუდიტი ინიშნება ღია კონკურსით, რაც მოითხოვს ქვორუმის დაცვით მიღებულ გადაწყვეტილებას;
- დღემდე ვერ ხორციელდება პროგრამული პრიორიტეტების შესრულებაზე ეფექტური კონტროლი; დღემდე ვერ ხერხდება საშტატო განრიგის
- წარმოდგენა და დამტკიცება;
- 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გარეშეა დარჩენილი აჭარის ტელევიზია, რომლის ფინანსურ მდგომარეობაზე მონიტორინგი დღემდე ვერ ხორციელდება.

სამართლებრივი ვაკუუმი დღემდე პრობლემად რჩება, რადგან კანონმდებლობა დღემდე უზღუდავს სამეურვეო საბჭოს ეფექტურ უფლებამოსილებას და მას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვს.



# 6

## საკანონმდებლო ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პრობლემები



2013 წლის დასაწყისიდან საქართველოს პარლამენტმა დაიწყო მუშაობა „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებებისა და დამატებების შესატანად. სამწუხაროდ, ამ პროცესში პრაქტიკულად გამოირიცხა საბჭოს მოქმედი წევრების ჩართულობა (გამონაკლისია ერთ საკომიტეტო მოსმენაზე საბჭოს წევრების მინვევა). კანონის მიღებამდე ასევე მწირად იყო წარმოდგენილი საერთაშორისო საექსპერტო შეფასებებიც, რადგან ევროპის მაუწყებელთა კავშირის მოთხოვნის მიუხედავად, მათ დროულად არ მიეცათ კანონპროექტის გაცნობის შესაძლებლობა.

კანონპროექტის მიმართ საბჭოს მოქმედ წევრთა მთავარი შენიშვნა ეხებოდა მეურვეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, რაც არღვევდა მაუწყებლის მართვის მემკვიდრეობითობის პრინციპს, გამოიწვევდა საორგანიზაციო პრობლემებს და ხელყოფდა მაუწყებლის საორგანიზაციო და სარედაქციო დამოუკიდებლობას. იყო სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი შენიშვნებიც

(აჭარის ტელევიზიის გაურკვეველი ფინანსური და სარედაქციო სტატუსი და სხვ.), რომელიც პარლამენტს წერილობითი სახითაც გაეგზავნა და არაერთხელ საჯაროდაც გახმოვანდა. მსგავსი პოზიცია დააფიქსირა ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენელმაც (დანართი N9).

სამეურვეო საბჭომ მიღებული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა და მიუთითა კანონის რამდენიმე პრობლემურ ნაწილზე, კერძოდ კანონის უარყოფით შედეგებზე, რასაც მეურვეთათვის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევდა. საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო საქმე და შეაჩერა კანონის იმ მუხლების მოქმედება, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ იყო გასაჩივრებული. 2014 წლის მდგომარეობით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია და სამეურვეო საბჭოს მოქმედ შემადგენლობას გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა თავდაპირველი მდგომარეობით.

# 7

## ბიუჯეტის შესრულება



მაუწყებლის 2013 წლის ბიუჯეტი 2012 წლის 14 დეკემბერს დამტკიცდა. მისი ძირითადი პარამეტრების შესრულებასთან დაკავშირებით სამეურვეო საბჭომ არაერთხელ წერილობით მიმართა მენეჯმენტს. საქმიანობის იმ პერიოდში, როდესაც საბჭოს შეეძლო უფლებამოსილი გადანყვეტილებების მიღება, მენეჯმენტმა არ წარმოადგინა საბჭოს მიერ განსახილველად ორგანიზაციის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი.

სამწუხაროდ, ბიუჯეტის, როგორც ერთიანი, ასევე მუხლობრივი პარამეტრები დაირღვა (განსაკუთრებით შრომის ანაზღაურების ნაწილში). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 30) მენეჯმენტს სამეურვეო საბჭოსგან დამოუკიდებლად ასეთი გადანყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა.

საბჭოს დავალებით შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა მოკვლევა. მოკვლევით გამოვლინდა, რომ იანვრიდან დღემდე საეთერო ბადეში არარსებული გადაცემების ჯგუფების ხელფასებია გაცემული, უწყისების მიხედვით 2013 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით გაცემულია - 14 723 032 ლარი ანუ დამტკიცებულ ბიუჯეტზე - 4 723 032 ლარით მეტი 12 თვის მიხედვით.

მოკვლევის შედეგები რეაგირებისათვის ეცნობა გენერალურ პროკურატურას (იხ. ზემოთ).

იმ პირობებში, როდესაც საბჭოს შეზღუდული ჰქონდა უფლებამოსილება, საზოგადოებრივ მაუწყებელს სარეზერვო ფონდიდან გამოეყო დამატებით თანხა სახელფასო დავალიანებების დასაფარად. კვორუმის არარსებობის პირობებში შეუძლებელი გახდა 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. დღეს-დღეობით მაუწყებელი მუშაობს საქართველოს კანონმდებლობით ასეთ შემთხვევისათვის მიღებული ნორმით. (დანართი N4, გვ. 127-128)

	გეგმა 2013 (ლარი)	საკანონმდებლობა 2013 (ლარი)
ხელფასები	10 000 000	15 069 608
მივლინებები	715 000	756 667
სამეურვეო საბჭო	474 000	301 800
ადმინისტრაცია	1 769 650	1 696 066
მარკეტინგი და გაყიდვები	125 000	78 593
პროდიუსინგი	4 435 000	4 098 498
საინფორმაციო სამსახური	497 800	469 221
ტექნიკური სამსახური	2 863 211	2 102 795
სხვა ხარჯები	15 895 729	11 138 291
<b>სულ</b>	<b>36 775 390</b>	<b>35 711 538</b>

# 8

## მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი



„მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

სამეურვეო საბჭო წარმოადგენს ზემდგომ ინსტანციას მაუწყებლის ფარგლებში, რომელიც თვითრეგულირების მექანიზმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას განიხილავს. საანგარიშო პერიოდში თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილული იყო 5 (ხუთი) საქმე, საიდანაც მხოლოდ ერთი გადაგზავნა დაინტერესებულმა მხარემ სამეურვეო საბჭოში. სამეურვეო საბჭომ შეისწავლა საკითხი, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაწყვეტილებამდე ტელევიზიის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა დაინტერესებული მხარის ინტერესი და დავის განხილვა შეჩერდა (დანართი N4).